

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი



დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 5, 22 ივლისი 2014 წელი

რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

გულუქან ქმოსტელი

შეთანხმულია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

სამსახურის უფროსი:

მარიამ დარბაიძე

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
„ბიზნესის ადმინისტრირება.“

რუსთავი 2014 წელი.

მიმართულება:	ბიზნესის ადმინისტრირება 02
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:	ბიზნესის ადმინისტრირება
პროგრამის ხელმძღვანელი:	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მაია ჩეჩელაშვილი
უმაღლესი განათლების საფეხური:	პირველი საფეხური, ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი:	აკადემიური, ძირითადი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული ენა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	<p>საბაკალავრო პროგრამის მთლიანი მოცულობა -240 ECTS კრედიტი (1 კრედიტი = 25 ასტრონომიული საათს), მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 39 კრედიტი; ➤ ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი) -120 კრედიტი; ➤ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები-12კრედიტი; ➤ 69კრედიტი -თავისუფალი კომპონენტები ან დამატებითი (minor) სპეციალობის სასწავლო კურსები (60 კრედიტი)+ თავისუფალი კრედიტი (9 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ძირითადი სპეციალიზაციის 4 არჩევითი მოდულისაგან: ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი და მარკეტინგი, რომელთაგან სტუდენტი მხოლოდ ერთ მოდულს ირჩევს სწავლების მეხუთე სემესტრიდან (მესამე წლის პირველი სემესტრიდან).

პროგრამის სავალდებულო კომპონენტს შეადგენს პრაქტიკა, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს მაღალკვალიფიციური კადრების ზედამხედველობით გამოიმუშაოს პროფესიული მუშაობის ჩვევები. საბაკალავრო პროგრამის მე-8 სემესტრში სტუდენტი იცავს საბაკალავრო ნაშრომს.

**პროგრამაზე დაშვების
წინაპირობა:**

სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების (სავალდებულო საგნების - ქართული ენისა და ლიტერატურის, ზოგადი უნარების, უცხოური ენის და მეოთხე საგნად არჩევით - მათემატიკის/გეოგრაფიის/ისტორიის ჩაბარება) შედეგების, მობილობის საფუძველზე ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**პროგრამის
მიზანი:**

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მომზადების მიზანია სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, შეუქმნას თეორიული საფუძველი ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალურ დარგებში; ხელი შეუწყოს ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მოთხოვნების სპეციალისტის კომპეტენციების მქონე მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის ჰუმანიზმის, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევებით.

მოდული-ფინანსები:

- *მოდულის მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება თეორიული და სპეციალური ცოდნა ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო სფეროში; შეისწავლის საფინანსო და სადაზღვევო საქმის მართვის პროცესის ბუნებას, ძირითად კანონზომიერებებსა და ტექნოლოგიებს, ფინანსების თანამედროვე კონცეფციებს და მიდგომებს, ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო მეთოდებს და წესებს; ექნება გააზრებული ფინანსების, როგორც დარგის არსი და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა.*
- *მოდული ორიენტირებულია თანამედროვე სამეწარმეო სუბიექტისა და მისი ორგანიზაციული ქვედანაყოფების*

ეფექტიან ფინანსურ მართვასა და ადმინისტრირებაზე.

მოდული -საბუღალტრო აღრიცხვა:

- მოდულის მიზანია კადრების მომზადება კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის, საბუღალტრო აღრიცხვის აუდიტისა და საგადასახადო საქმის მიმართულების საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; სტუდენტებს მისცეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნა საბუღალტრო აღრიცხვაში.
- მოდული ორიენტირებულია ორგანიზაციის ფინანსური აღრიცხვის სისტემის და კონტოლის საკითხებზე, ბუღალტრული საქმიანობის სწორად წარმოებაზე, როგორც კომერციულ ისე არაკომერციულ ორგანიზაციებში და ფინანსურ ინსტიტუტებში სათანადო ინფორმაციული სისტემების გამოყენებით, ფინანსური კუთხით საწარმოს საქმიანობის შეფასებასა და ბიუჯეტირებაზე.

მოდული - მარკეტინგი:

- მარკეტინგის მოდულის მიზანია მარკეტოლოგების მომზადება კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის, რომლებიც შეძლებენ მომხმარებელთა ჯგუფების გამოვლენას, ბაზრის სეგმენტირებას, მიზნობრივი სეგმენტების შერჩევას და საქონლის პოზიციონირებას ბაზარზე;
- მოდული ორიენტირებულია მოგების მიღების მიზნით ბაზრისა და კონკრეტულ მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესწავლასა და ამ მიზნით საქონლის და მომსახურების ორიენტაციის, სამომხმარებლო მოთხოვნის ფორმირების, სტიმულირებისა და გაყიდვის გაფართოების პროცესების მართვაზე.

მოდული-მენეჯმენტი

- მენეჯმენტის მოდულის მიზანია კადრების მომზადება კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის, დინამიურ ბიზნეს-გარემოში მუშაობისა და მენეჯმენტის სწორად წარმართვის უნარით აღჭურვილი ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც პროფესიულ კარიერის მისაღწევად ფლობენ ლიდერის, ხელმძღვანელის უნარებს, იცავენ მენეჯერის სამართლებრივ და

ეთიკურ ნორმებს.

- მოდული ორიენტირებულია თანამედროვე სამეწარმეო სუბიექტისა და მისი ორგანიზაციული ქვედანაყოფების ეფექტურ მართვასა და ადმინისტრირებაზე.

სწავლის შედეგები:

მოდული- ფინანსები

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების - საბუღალტრო აღრიცხვის, მენეჯმენტის, ფინანსების, მარკეტინგის, ტურიზმის თეორიული საფუძვლებისა და კომპლექსური საკითხების ფართო ცოდნა;
- აქვს ბიზნესის ადმინისტრირების და ფინანსების სფეროს ფართო ცოდნა, რომლიც მოიცავს მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების კრიტიკულ გააზრებას; ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის, საბანკო საქმის, სადაზღვევო და საგადასახადო საქმის თეორიული საფუძვლების ცოდნა;
- იცის ფინანსური ანალიზის როლი აღრიცხვაში, საზოგადოებრივ წარმოებაში, მისი ჩატარების ფორმები და მეთოდები.
- იცის ეკონომიკის პრინციპების, სტატისტიკისა და ბიზნესის საფუძვლების, საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების, ფინანსური აღრიცხვის, საგადასახადო საქმის მეთოდოლოგიური ელემენტების პრინციპები და კონცეფციები; კალკულუსისა და ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების შესახებ, წრფივი ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური მეთოდებით გადაჭრის გზები;

აცნობიერებს:

- ფინანსების მნიშვნელობას და პასუხიმგებლობას საზოგადოებრივ წარმოებაში;
- საზოგადოებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების საქმეში ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების როლს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების სფეროსათვის დამახასიათებელი გამორჩეული მეთოდების გამოყენება პრობლემების გადაჭრისას;
- ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის თავმოყრა და ანალიზი, ანგარიშების მომზადება და წარდგენა;
- ფინანსური აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება და სხვა;
- ბიზნეს-პროცესების იდენტიფიცირება, ბიზნეს-პროცესში მონაწილეობის განსაზღვრა;
- მარტივი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემებთან მიმართებაში;
- აწარმოოს ფინანსური ოპერაციების აღრიცხვა არესებული ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით;

დასკვნის უნარი

შეუძლია:

- ანალოგიების მითითება ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემის გადაჭრისას, ბიზნესის ადმინისტრირების დარგში არსებული პრობლემის ამოცნობა, იდენტიფიკაცია, გაანალიზება და საჭირო გადაწყვეტილების შერჩევა;
- ცნობილი ბიზნეს პროფილის სამეცნიერო ჟურნალებისა და გაზეთების, სხვა სპეციალური საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან სათანადო დასკვნის გამოტანა;
- ახალი ინფორმაციის მიღება, გადამუშავება და ანალიზის უნარი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით;

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია:

- მშობლიურ ენაზე იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება;
- რეფერატული სახის შრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- ინგლისურ ენაზე B2 დონეზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა, მომზადება წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია;
- პროფესიულ თემებზე დისკუსიაში ჩართვა, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან ინგლისურ ენაზე;
- საგანმანათლებლო სფეროში ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენება;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის ელექტრონული ცხრილების, ტესტების დამუშავებისა და სპეციალური პაკეტების კომპეტენტურად გამოყენება.

სწავლის უნარი

შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირების დარგის სპეციალური ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო წყაროების მოძიება და გამოყენება;
- სწავლის საჭიროების განსაზღვრა, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება.

ღირებულებები

- მონაწილეობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. არის პუნქტუალური და დისციპლინირებული;

- იცნობს პროფესიული საქმიანობის ღირებულებებს;
- შეუძლია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, განსხვავებული აზრის მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა.

მოდული-საბუღალტრო აღრიცხვა

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს :

- ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების - საბუღალტრო აღრიცხვის, მენეჯმენტის, ფინანსების, მარკეტინგის, ტურიზმის თეორიული საფუძვლებისა და კომპლექსური საკითხების ფართო ცოდნა;
- მიკრო და მაკრო, საერთაშორისო და საქართველოს ეკონომიკის, ბიზნესისა და კორპორაციული მართვის, ბიზნესის სტატისტიკის, ზოგადი და სტრატეგიული მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების მართვის, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის, აუდიტის ძირითადი პრინციპების ცოდნა;
- კალკულუსისა და ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების, წრფივი ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური მეთოდებით გადაჭრის გზების ცოდნა;
- საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის, საგადასახადო სისტემისა და კოდექსის, გადასახადების დანიშნულებისა და როლის შესახებ ცოდნა;
- ფართო ცოდნა კომერციულ ბანკებში და სხვა ორგანიზაციებში ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესახებ;
- ფლობს მმართველობითი აღრიცხვის მეთოდებს;

აცნობიერებს:

- ბიზნესის ადმინისტრირების დარგების, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის როლს საზოგადოებრივ წარმოებაში;
- საზოგადოებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების საქმეში ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების როლს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების სფეროსათვის დამახასიათებელი გამორჩეული მეთოდების გამოყენება პრობლემების გადაჭრისას;

- საბუღალტრო და ფინანსური აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება და სხვა;
- ბიზნეს პროცესების იდენტიფიცირება, ბიზნეს-პროცესში მონაწილეობის განსაზღვრა;
- ბიზნესის ტერმინოლოგიის გამოყენება;
- ბუღალტრული დოკუმენტების შედგენისა და სისტემატიზაციის, პირველადი და ნაერთი ბუღალტრული დოკუმენტების შედგენა, ბუღალტრული ანგარიშების საცდელი ბუღალტრული ბალანსის შედგენა;
- საწარმოს ბუღალტრული ოპერაციების აღრიცხვა არესებული ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით.

აქვს:

- კომპანიის პროდუქციისათვის ხარჯთაღრიცხვების, თვითღირებულების კალკულაციის შედგენისა და მისი გაანალიზების უნარი, სასაქონლო მარაგებისა და ნაკადების დაგეგმვისა და კონტროლის უნარი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულებების შესრულებისა, საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის, გადამხდელის უფლებების, იმპორტის გადასხდელის გამოანგარიშების უნარი.
- აუდიტორული დასკვნის მომზადების უნარი.

დასკვნის უნარი

- შეუძლია ანალოგიების მითითება ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემის გადაჭრისას, აქვს ბიზნესის ადმინისტრირების დარგში არსებული პრობლემის ამოცნობის, იდენტიფიკაციის, გაანალიზებისა და საჭირო გადაწყვეტილების შერჩევის უნარი;
- ექნება ცნობილი ბიზნეს პროფილის სამეცნიერო ჟურნალებისა და გაზეთების, სხვა სპეციალური საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან სათანადო დასკვნის გამოტანის უნარი;
- აქვს ახალი ინფორმაციის მიღების, გადამუშავებისა და ანალიზის უნარი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით;
- ბიზნეს-საქმიანობის შეფასება.

კომუნიკაციის უნარი

- კურსდამთავრებულს მშობლიურ ენაზე შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია რეფერატული სახის შრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის

შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;

- შეუძლია ინგლისურ ენაზე B2 დონეზე პროფესიასთან დაკავშირებული იფორმაციის გადაცემა, მომზადება წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია,
- შეუძლია პროფესიული პასუხისმგებლობის ფარგლებში თავის პროფესიულ საქმიანობაში დისკუსიაში ჩართვა, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან ინგლისურ ენაზე.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

- იცნობს და შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია საგანმანათლებლო სფეროში ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენება.
- კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის ელექტრონული ცხრილების, ტესტების დამუშავებისა და სპეციალური პაკეტების კომპეტენტურად გამოყენების უნარი.

სწავლის უნარი

- შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების დარგის სპეციალური ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო წყაროების მოძიება და გამოყენება;
- სწავლის საჭიროების განსაზღვრა, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება.

ღირებულებები

- მონაწილეობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. არის პუნქტუალური და დისციპლინირებული;
- იცნობს პროფესიული საქმიანობის ღირებულებებს;
- შეუძლია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, განსხვავებული აზრის მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა.

მოდული-მარკეტინგი

ცოდნა და გაგნობიერება

- აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების - საბუღალტრო აღრიცხვის, მენეჯმენტის, ფინანსების, მარკეტინგის, ტურიზმის თეორიული საფუძვლებისა და კომპლექსური საკითხების ფართო ცოდნა;
- აქვს ბიზნესის ადმინისტრირების და მარკეტინგის სფეროს ფართო ცოდნა, რომლიც მოიცავს მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების კრიტიკულ გააზრებას;
- იცის მარკეტინგული ღონისძიებების როლი საზოგადოებრივ წარმოებაში; ბაზრის სემენტაციის, კვლევისა და ანალიზის მეთოდები, მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები; მარკეტინგული კომუნიკაციების პრინციპები;
- იცის ეკონომიკის პრინციპების, სტატისტიკისა და ბიზნესის საფუძვლების, ფინანსების, მენეჯმენტის, საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების, ფინანსური აღრიცხვის, საგადასახადო საქმის მეთოდოლოგიური ელემენტების პრინციპები და კონცეფციები; კალკულუსისა და ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების შესახებ, წრფივი ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური მეთოდებით გადაჭრის გზები;

აგნობიერებს:

- საზოგადოებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების საქმეში ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების, მათ შორის მარკეტინგის მნიშვნელობასა და როლს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და მარკეტინგის სფეროსათვის დამახასიათებელი გამორჩეული მეთოდების გამოყენება პრობლემების გადაჭრისას;
- ბიზნეს-პროცესების იდენტიფიცირება, ბიზნეს-პროცესში მონაწილეობის განსაზღვრა;
- მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების გამოცნობა, მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება;
- მარტივი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემებთან მიმართებაში;
- მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება არესებული ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით;

დასკვნის უნარი

შეუძლია:

- ანალოგიების მითითება ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემის გადაჭრისას, ბიზნესის ადმინისტრირების დარგში არსებული პრობლემის ამოცნობა, იდენტიფიკაცია, გაანალიზება და საჭირო გადაწყვეტილების შერჩევა;
- მარკეტინგული მონაცემების მოძიება და ანალიზი, ბაზრის კვლევა და მისი შესაძლებლობების განსაზღვრა;

- ცნობილი ბიზნეს პროფილის სამეცნიერო ჟურნალებისა და გაზეთების, სხვა სპეციალური საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან სათანადო დასკვნის გამოტანა;
- ახალი ინფორმაციის მიღება, გადამუშავება და ანალიზის უნარი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით;

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია:

- მშობლიურ ენაზე იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება;
- რეფერატული სახის შრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- ინგლისურ ენაზე B2 დონეზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა, მომზადება წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია;
- პროფესიულ თემებზე დისკუსიაში ჩართვა, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან ინგლისურ ენაზე;
- საგანმანათლებლო სფეროში ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენება;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის ელექტრონული ცხრილების, ტესტების დამუშავებისა და სპეციალური პაკეტების კომპეტენტურად გამოყენება.

სწავლის უნარი

შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირების დარგის სპეციალური ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო წყაროების მოძიება და გამოყენება;
- სწავლის საჭიროების განსაზღვრა, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება.

ღირებულებები

- მონაწილეობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. არის პუნქტუალური და დისციპლინირებული;
- იცნობს პროფესიული საქმიანობის ღირებულებებს;
- შეუძლია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, განსხვავებული აზრის მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა.

მოდული- მენეჯმენტი

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების - საბუღალტრო აღრიცხვის, ფინანსების, მარკეტინგის თეორიული საფუძვლებისა და კომპლექსური საკითხების ფართო ცოდნა;
- აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების და მენეჯმენტის სფეროს ფართო ცოდნა, რომლიც მოიცავს მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების კრიტიკულ გააზრებას; მენეჯმენტის, იპერაციული მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტისა და ორგანიზაციული ქცევის თეორიული საფუძვლების ცოდნა;
- იცის ეკონომიკის პრინციპების, სტატისტიკისა და ბიზნესის საფუძვლების, საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების, ფინანსური აღრიცხვის, საგადასახადო საქმის მეთოდოლოგიური ელემენტების პრინციპები და კონცეფციები; კალკულუსისა და ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების შესახებ, წრფივი ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური მეთოდებით გადაჭრის გზები;

აცნობიერებს:

- მენეჯმენტის მნიშვნელობას და პასუხიმგებლობას საზოგადოებრივ წარმოებაში;
- საზოგადოებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების საქმეში ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების როლს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროსათვის დამახასიათებელი გამორჩეული მეთოდების გამოყენება პრობლემების გადაჭრისას;
- მენეჯერული ინფორმაციის თავმოყრა და ანალიზი, ანგარიშების მომზდება და წარდგენა;
- ბიზნეს-პროცესების იდენტიფიცირება, ბიზნეს-პროცესში მონაწილეობის განსაზღვრა;

- მარტივი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემებთან მიმართებაში;
- აწარმოოს ფინანსური ოპერაციების აღრიცხვა არესებული ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით;

დასკვნის უნარი

შეუძლია:

- ანალოგიების მითითება ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემის გადაჭრისას, ბიზნესის ადმინისტრირების დარგში არსებული პრობლემის ამოცნობა, იდენტიფიკაცია, გაანალიზება და საჭირო გადაწყვეტილების შერჩევა;
- ცნობილი ბიზნეს პროფილის სამეცნიერო ჟურნალებისა და გაზეთების, სხვა სპეციალური საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან სათანადო დასკვნის გამოტანა;
- ახალი ინფორმაციის მიღება, გადამუშავება და ანალიზის უნარი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით;

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია:

- მშობლიურ ენაზე იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება;
- რეფერატული სახის შრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- ინგლისურ ენაზე B2 დონეზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა, მომზადება წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია;
- პროფესიულ თემებზე დისკუსიაში ჩართვა, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან ინგლისურ ენაზე;
- საგანმანათლებლო სფეროში ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენება;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის ელექტრონული ცხრილების, ტესტების დამუშავებისა და სპეციალური პაკეტების კომპეტენტურად გამოყენება.

სწავლის უნარი

შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირების დარგის სპეციალური ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო წყაროების მოძიება და გამოყენება;
- სწავლის საჭიროების განსაზღვრა, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება.

ღირებულებები

- მონაწილეობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. არის პუნქტუალური და დისციპლინირებული;
- იცნობს პროფესიული საქმიანობის ღირებულებებს;
- შეუძლია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, განსხვავებული აზრის მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად. სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას; დამოუკიდებელ მეცადინეობას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას, სასწავლო პრაქტიკას და სახის საქმიანობას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მსმენელს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - A (ფრიადი);
- მაქსიმალური შეფასების 81-90% - B (მალიან კარგი);
- მაქსიმალური შეფასების 71-80% - C (კარგი);
- მაქსიმალური შეფასების 61-70% - D (დამაკმაყოფილებელი);
- მაქსიმალური შეფასების 51-60% - E (საკმარისი).

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% - FX (ვერ ჩააბარა);
- მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები - F (ჩაიჭრა).

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დაკონკრეტებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შეფასების მეთოდი

- ტესტი
- ზეპირი გამოკითხვა
- პრეზენტაცია
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. მაგ., ლექციაზე ლექტორი სალექციო მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის სახით, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვ.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პრაქტიკა.

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურადუზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა

მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.

- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვებმარება სასწავლო მასალის, როგორცერთი მთლიანის, შემადგენელ

ნაწილებად დამლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

• **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

<p>სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p>	<p>კურსდამთავრებულს საშუალება აქვს სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებია :</p> <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურები; • ნებისმიერი სფეროსა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმო(ფირმა, ორგანიზაცია); • ბანკები და სხვა საკრედიტო თუ ფინანსური ინსტიტუტები; • ნებისმიერი სახის საშუამავლო-სავაჭრო თუ ლოჯისტიკური რგოლები (სასაქონლო, საფონდო თუ სავალუტო ბირჟები, ლოჯისტიკური ცენტრები და სხვა); • არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.
<p>ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ</p>	<p>მატერიალურ ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შენობა, სადაც ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამი განხორციელებისათვის გამოყოფილია თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები; განთავსებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ცენტრი, მდიდარი წიგნადი ფონდით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.</p>
<p>სასწავლო პროცესის ორგანიზაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ სწავლება მოიცავს 4 აკადემიურ წელს (8 სემესტრი), თითოეული აკადემიური წელი - 2 სემესტრს (40 სასწავლო კვირას). ➤ ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 სასწავლო კვირას.

სემესტრში კვირები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 16 კვირა ეთმობა სალექციო –სააუდიტორიო მეცადინეობებს, მათ შორის მე-6 და მე-11 კვირას გათვალისწინებულია შუალედური გამოცდები, შუალედური შეფასების სხვა კომპონენტების ჩატარების პერიოდს სასწავლო კურსის განმახორციელებელი განსაზღვრავს სილაბუსში;
- დასკვნითი გამოცდა მე-17-18-ე კვირა.
- დამატებითი გამოცდა - მე-19 -20-ე კვირა.
- კვირაში 17-20 ლექცია, ერთი ლექცია 60 წუთი.